



საქართველოს ახალგაზრდები
უკეთესი მომავლისათვის „საუმ–ის“
I საერთო კრების მიერ
2013 წლის 29 სექტემბერს

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ საუმ–ის ასოციაციის წესდება

პრეამბულა

ჩვენ საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლის მისაღწევად, გვაერთიანებს საქართველოში ახალგაზრდული პრიორიტეტებისა და მიმართულებების განვითარების მიზანი, რომლის მისაღწევად ჩვენ ვაყალიბებთ პირველ ახალგაზრდულ გაერთიანებას საქართველოში, რომელიც არ იქნება კომერციულ პრინციპებზე დამკვიდრებული და მისი არსებობის მთავრი მიზანი იქნება საქართველოს ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისაკენ განვითარება.

მიგვაჩნია, რომ 21 საუკუნეში ძალზედ მნიშვნელოვანია ახალგაზრდობას ჰქონდეს სწორი ხედვა საკუთარი პოტენციალის განვითარებისათვის. რაც ძლიერი და წარმატებული სახელმწიფოს საწინდარია.

„საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ ასოციაციის კარი ღიაა ყველა ადამიანისათვის განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა.

მუხლი 1.

ზოგადი დებულებანი

1.1. „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ (შემდგომში -საუმ–ი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. სახელწოდება: „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“

შემოკლებით: „საუმ–ი“

ინგლისურად: ” Georgian youth for better Future” ” GYFBF”

1.3. „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ ასოციაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ ასოციაცია ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამ. №139

1.5 ელექტრონული ფოსტა: Gyfbf1@gmail.com

მუხლი 2

მიზნები

2.1. „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ მიზნებია:

ა) საქველმოქმედო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების, სასწავლო პროგრამების განხორციელება ;

ბ) პროექტების განხორციელება, სხვადასხვა სოციალურ, საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე;

გ) მოხალისეობის ინსტიტუტის პოპულარიზაცია და საზოგადოებაში მისი პოზიტიური პოპულარიზაცია;

დ) სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტრავმების მქონე ახალგაზრდების, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ;

ე) ტრენინგ კურსების განხორციელება, სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებზე (მსჯელობა, ანალიზი, დასკვნების გამოტანა)

ვ) ინფორმაციული ტექნოლოგიების კვალდაკვალ საკუთარი საინფორმაციო არხების შექმნა და მასმედიასთან თანამშრომლობა;

ზ) ყველა ღონის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება და თანამშრომლობა;

თ) ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

კ) ბუნების დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ადამიანთა ცნობიერების ამაღლება;

ლ) მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება:

- იძულებით გადაადგილებული პირთათვის
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის
- ეთნიკური უმცირესობებისათვის

საქმიანობის ფორმები

3.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“

- ა) ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას, კულტურის სფეროში ფორუმ თეატრების, სპორტში სხვადასხვა შეჯიბრების და მარათონების ორგანიზებით;
- ბ) ატარებს სემინარებს, ტრენინგებს, კონკურსებს, მარათონებს და შეჯიბრებს;
- გ) მოხალისეობის ინსტიტუტის მხარდასაჭერად აკავშირებს პოტენციურ მოხალისეებს იმ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან რომლებიც საჭიროებენ მათ დახმარებას.
- დ) ახორციელებს ფსიქორეაბილიტაციის პროექტებს კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში დევნილებისათვის, ეკო-დევნილებისათვის, მიწისძვრით ან სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაზარალებული ადამიანებისათვის, გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმების აღმოსაფხვრელად;
- ე) ქმნის ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამის, საინფორმაციო არხებს: ვებ –საიტებს, ფორუმებს, ვიდეორგოლებს, ახალგაზრდების საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ვ) უკავშირდება და თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის მიზნად ისახავს გახდეს პარტნიორი ისეთ დიდი ორგანიზაციის როგორცაა ევრო კომისია, იუნესკო, წითელი ჯვარი და ა.შ.
- ზ) ახალგაზრდების მასიურად უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, ახდენს რეაგირებას სასამართლო და მასმედიის მეშვეობით;
- თ) ცდილობს ახალგაზრდებში აამაღლოს პასუხისმგებლობის გრძნობა ბუნების დაცვის და ეკოლოგიის საკითხებზე, ატარებს სხვადასხვა პიარ აქციებს ახალგაზრდების მონაწილეობით;
- ი) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის, ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს რომლებიც ეხმარებათ მათ საზოგადოების სრულყოფილ ინტეგრაციაში;
- კ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხელს უწყობს და შუამდგომლობს მათ დასაქმებას მათი შესაძლებლობის ფარგლებში, აწყობს სხვადასხვა პროექტებს რომელიც ხელს შეუწყობს მათ სრულყოფილ ინტეგრაციას საზოგადოებაში.
- ლ) ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;
- მ) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

„საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“

დამფუძნებელი წევრები

- ვახტანგ ბაღათურია, დაბ/თარ. 01.04.1992წ. ქ. ოჩამჩირე, პირადი № 62005027248, პირადობის მოწმობის №თ 0468102, გაცემულია აფხაზეთის სამოქალაქო სააგენტოს სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი გლდანის 4 მ/რ 96 კორპ. ბ/77
- ირაკლი ბაღათურია, დაბ/თარ. 09.06.1987წ. ქ. ოჩამჩირე, პირადი № 62005025183, პირადობის მოწმობის № ე 0181393, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოჩამჩირის სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი წერეთლის გამ. №117

მიიღეს გადაწყვეტილება:

- შეიქმნას (დაფუძნდეს) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პიირი შემდეგი სახელწოდებით: „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ შემოკლებით „საუმ-ი“ მოხედეს აღნიშნული ორგანიზაციის რეგისტრაცია სჯარო რესტის ეროვნული სააგენტოში;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პიირი „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ შემოკლებით „საუმ-ი“ განთავსდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი წერეთლის გამ. 139-ში
- დაისახოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პიირის საქმიანობის მიზანი: 1) საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განსაზღვრა 2) ახალგაზრდულ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; 3) სახელმწიფო შიდა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება მსგავსი სახის გაერთიანებებთან; 4) წესდებით განსაზღვრული სხვა პრიორიტეტების განხორციელება;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პიირის „საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ შემოკლებით „საუმ-ი“ წარმომადგენლობის უფლება განისაზღვროს ასოციაციის წესდების შესაბამისად;

წ ე ვ რ ო ბ ა

- 4.1. საუმ-ის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, რომელიც გაიზიარებს საუმ-ის მიზნებსა და მოთხოვნებს.
- 4.2. საუმ-ის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს საუმ-ის გენერალურ დირექტორს. გენერალურ დირექტორი წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.
- 4.3. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საუმ-ის საქმიანობას, საუმ-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს საუმ-ის საპატიო წევრად. საპატიო

წევრზე არ ვრცელდება საუმ-ის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლებამოვალეობანი.

4.4 საუმ-ის გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

4.5 საუმ-ის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ბ) წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;
- გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
- დ) გარდაცვალებისას;

4.6. დირექტორთა საბჭოს ან გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით საუმ-ის წევრი შეიძლება გაირიცხოს საუმ-იდან თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება საუმ-ის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 6

წევრთა უფლება-მოვალეობანი

6.1 საუმ-ის წევრს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობდეს საუმ-ის მუშაობაში;
- ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საუმ-ის მმართველობის ორგანოებში;
- გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს საუმ-ის პროგრამებში;
- დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს საუმ-ის სხდომებში;
- ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია საუმ-ის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან საუმ-ის საქმიანობის შესახებ;
- ვ) საუმ-ის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს საუმ-ის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
- ზ) ატაროს საუმ-ის ლოგო.

6. საუმ-ის წევრი მოვალეა:

- ა) დაიცვას საუმ-ის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბ) გაუფრთხილდეს საუმ-ის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საუმ–ის საქმიანობაში;

დ) საუმ–ის საქმიანობაში იხელმძღვანელოს საუმ–ის მიზნებითა და ეთიკის ნორმებით;

ე) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით. (საწევრო შენატანს ადგენს დირექტორთა საბჭო)

მუხლი 7

წევრთა საერთო კრება

7.1. საუმ–ის საერთო კრება, მოიწვევა „დირექტორთა საბჭოს“ მიერ და ტარდება ყოველი წლის ოქტომბერში;

7.2. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს „დირექტორთა საბჭო“ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა საუმ–ის წევრთა ორი მესამედით.

7.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

7.4. საერთო კრება:

ა) დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს საუმ–ის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

ბ) ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ამტკიცებს დირექტორთა საბჭოს წევრებს.

„საქართველოს ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“ შემოკლებით „საუმ-ი“ საერთო კრების დღის წესრიგს, წარმოადგენს დირექტორთა საბჭოს (დირექტორების) წევრების არჩევას.

კრებაზე გადაწყდა რომ დირექტორთა საბჭოს წევრების რაოდენობა პირველ ეტაპზე განისაზღვროს 2 წევრით, მათი რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს საერთო კრების ახალი გადაწყვეტილებით. წევრების არჩევა ხდება (სამი) 3 წლის ვადით.

საერთო კრების გადაწყვეტილებით დირექტორთა საბჭოს (დირექტორებად) წევრებად ღაინიშნა:

– ვახტანგ ბაღათურია, დაბ/თარ. 01.04.1992წ. ქ. ოჩამჩირე, პირადი № 62005027248, პირადობის მოწმობის № 0468102, გაცემულია აფხაზეთის სამოქალაქო სააგენტოს სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი გლდანის 4 მ/რ 96 კორპ. ბ/77

– ირაკლი ბაღათურია, დაბ/თარ. 09.06.1987წ. ქ. ოჩამჩირე, პირადი № 62005025183, პირადობის მოწმობის № ე 0181393, გაცემულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოჩამჩირეს სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი წერეთლის გამ. №117 მე-3 სართ.

- გ) ისმენს საუმ-ის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;
- დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ საუმ-ის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- ე) დამსწრეთა უმრავლესობით 3 წლის ვადით ირჩევს საუმ-ის გენ ინსპექციას;
- (დირექტორთა საბჭომ და გენ-დირექტორმა უნდა უზრუნველყოს გენ-ინსპექციის ფორმირება საუმ-ის რეგისტრაციიდან სამი წლის ფარგლებში;)
- ვ) დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას საუმ-ის რეორგანიზაციის შესახებ;
- ზ) წევრთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;
- თ) იღებს გადაწყვეტილებას წევრის საუმ-ის გარიცხვის შესახებ.

7.5. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა საუმ-ის დირექტორთა საბჭოს მიერ:

- ა) საკუთარი ინიციატივით;
- ბ) გენ-დირექტორის ან საუმ-ის წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა;
- გ) გენ-ინსპექციის ინიციატივით.

მუხლი 8

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

8.1. საუმ-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს საუმ-ის გენერალური დირექტორი **ერთპიროვნულად**, მისი არყოფნის შემთხვევაში – ვიცე-გენერალური დირექტორი.

8.2 საუმ-ის **სპეციალური** წარმომადგენელი აგრეთვე **შეიძლება** გახდეს დირექტორი (**გენ დირექტორთან ერთად**). დირექტორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფარგლები, აგრეთვე მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

დირექტორს შეუძლია მხოლოდ საკუთარ სამოქმედო სფეროს ფაეგლებში წარმომადგენდეს ორგანიზაციას, მაგრამ ყველა გადაწყვეტილებაზე ესაჭიროება გენერალური დირექტორის **სპეციალური** თახმობა.

8.3. საუმ-ის გენერალური დირექტორი, ვიცე-გენერალური დირექტორი, დირექტორები და დირექტორთა საბჭო საუმ-ის საქმიანობას უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი საუმ-ის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე სოლიდარულად.

დირექტორთა საბჭო

9.1. საუმ-ის ხელმძღვანელი ორგანოა რომლის წევრებსაც (დირექტორებს) სამი წლის ვადით ამტკიცებს საერთო კრება. (7.4.-ბ) დირექტორთა საბჭოს წევრი (დირექტორი) ირჩევა სამი წლის ვადით საერთო კრებაზე. დირექტორთა საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა დირექტორთა საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.

9.2 დირექტორთა საბჭოს სხდომები იმართება ყოველი კენტი თვის ბოლო კვირაში. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საუმ-ის გენერალური დირექტორის მიერ საკუთარი ინიციატივით ან დირექტორთა საბჭოს წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორთა საბჭოს წევრებს და საუმ-ის ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს დირექტორთა საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.

9.3. დირექტორთა საბჭო :

ა) დირექტორთა საბჭოს წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევის საუმ-ის გენერალური დირექტორს; გენერალური დირექტორის წარდგინებით დირექტორთა საბჭოს წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევის მის მოადგილეს ვიცე-გენერალური დირექტორს;

ღირმეუბნობა საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება:

1) ღირმეუბნობა საბჭოს და ამავე დროს ორგანიზაციის უფროსად (გენ-დირექტორად) დაინიშნოს ღირმეუბნობა საბჭოს წევრი ირაკლი ბაღათურიძე. (ხმათა სრული უმრავლესობით.) ვიცე-გენერალური დირექტორად დაინიშნოს ვახტანგ ბაღათურიძე.

– ირაკლი ბაღათურიძე, დაბ/თარ. 09.06.1987წ. ქ. ოჩამჩირე, პირადი № 62005025183, პირადობის მოწმობის № ე 0181393, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოჩამჩირეს სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი წერეთლის გამ. №117 მე-3 სართ.

– ვახტანგ ბაღათურიძე, დაბ/თარ. 01.04.1992წ. ქ. ოჩამჩირე, პირადი № 62005027248, პირადობის მოწმობის №თ 0468102, გაცემულია აფხაზეთის სამოქალაქო სააგენტოს სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი გლდანის 4 მ/რ 96 კორპ. ბ/77

2) ღირმეუბნობა საბჭოს უფროსი გენ-დირექტორი შემდგომში ორგანიზაციის გენერალური დირექტორი დაინიშნოს ბანისაზვრელი ვაჰით.) ვიცე-გენერალური დირექტორი 3 წლის ვაჰით

3) გენერალური დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვროს ორგანიზაციის წესდებით; გენერალური დირექტორი და ვიცე გენდირექტორის ანაზღაურების საკითხი განისაზღვროს ღირმეუბნობა საბჭოს მხრივ სხდომაზე სადაც უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხი;

4) აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას ამავე დროს ორგანიზაციის გენერალური დირექტორი წარმოადგენს სრულიად ორგანიზაციის წარმომადგენელს და მისი გამოწვევა დაუშვებელია;

5) აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე;

- ბ) იწვევს და ატარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს საუმ-ის წევრებს;
- გ) საუმ-ის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;
- დ) დირექტორთა საბჭო, არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია დირექტორებით, რომლებიც კურირებენ სხვადასხვა სფეროებს.
- ე) ფარული კენჭისყრით წყვეტს საუმ-ის წევრად მიღების საკითხებს;
- ვ) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს საუმ-ის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება საუმ-ის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- ზ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;
- თ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საუმ-ის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- ი) ამტკიცებს საუმ-ის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;
- კ) ამტკიცებს საუმ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;
- ლ) წყვეტს საუმ-ის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;
- მ) ამტკიცებს დირექტორის საქმიანობის შესახებ დებულებას;
- ნ) ამტკიცებს დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ო) ადგენს საუმ-ის თანამშრომელთა სახელფასო ბაძეს;
- პ) გენ-დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საუმ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- ჟ) ირჩევს საუმ-ის ბეჭდვითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს;
- რ) გენ-დირექტორის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს საუმ-ის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
- ს) ფარული კენჭისყრით წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში საუმ-ის დირექტორის გადაყენების ინიციატივით მიმართავს გენ-დირექტორს.
- ტ) აფუძნებს საუმ-ის საწარმოებს და საუმ-ის გენ-დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

უ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

]

მუხლი 10

გენერალური დირექტორი

10.1. დირექტორთა საბჭოს გენერალურ დირექტორს და მის მოადგილეს თავის წევრთაგან განუსაზღვრელი ვადით ირჩევს დირექტორთა საბჭო მორიგი საერთო კრების შემდეგ პირველსავე სხდომაზე. (9.3.-ა)

გენერალურ დირექტორის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს დირექტორთა საბჭოს ყოველ წევრს.

ახლად არჩეული გენერალურ დირექტორი ასახელებს თავისი მოადგილის კანდიდატურას.

საუმ-ის გენერალურ დირექტორი და მისი მოადგილე ვიცე-გენერალური დირექტორის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან .

10.2. გენერალური დირექტორი:

ა) წარმართავს საუმ-ის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

გ) სრულიად წარმოადგენს საუმ-ის მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) წყვეტს საუმ-ის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს და ამის შესახებ აცნობებს დირექტორთა საბჭოს წევრებს;

ე) ზედამხედველობს საუმ-ის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;

ვ) უძღვება საუმ-ის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას დირექტორთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

ზ) ხელს აწერს საუმ-ის ოფიციალურ დოკუმენტებს ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით;

თ) დირექტორთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საუმ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ი) დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს;

კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

10.3. ვიცე გენ - დირექტორი რწმუნებით ასრულებს გენ-დირექტორის მოვალეობას გენ დირექტორის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებების ფარგლებში. საუმ-ის გენ-დირექტორის გადადგომის ან ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში ახალი გენ- დირექტორის არჩევამდე გენ- დირექტორის ფუნქციებს ასრულებს ვიცე -გენ- დირექტორი;

10.4. ვიცე-გენ- დირექტორი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საუმ-ის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ დირექტორთა საბჭოს, გენ დირექტორის წარდგინებით. ასეთ შემთხვევაში დირექტორთა საბჭო ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ ვიცე-გენ- დირექტორს, გენ დირექტორის წარდგინებით, დარჩენილი ვადით.

10.5. საუმ-ის გენ- დირექტორის და ვიცე-გენ- დირექტორი; ხელფასის ოდენობას ამტკიცებს დირექტორთა საბჭო, ისევე როგორც სხვა თანამშრომლების, გენ- დირექტორის მიერ შემოთავაზებული ოდენობის მიხედვით.

მუხლი 11

დირექტორი

11.1 დირექტორს 3 წლის ვადით ნიშნავს გენ-დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თანხმობით;

დირექტორი არის დირექტორთა საბჭოს წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს გარკვეულ სფეროს საუმ-ში

11.2. დირექტორი:

ა) საუმ-ის სახელით, მესამე პირებთან ურთიერთობაში, ცალკე წარმომადგენლობის უფლება არ გააჩნია თუ არ აქვს სპეციალური წარმომადგენლობის უფლება გენ-დირექტორისაგან. დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების ფარგლებში და საკუთარი სახელმძღვანელო სფეროს ფარგლებში, უძღვება საკუთარ სამოქმედო სფეროს.

ბ) გაწეული საქმიანობის შესახებ 3 თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს დირექტორთა საბჭოს;

გ) დირექტორთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ხელს აწერს საკუთარი სახელმძღვანელო სფეროს ფარგლებში შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტაციას და დასამტკიცებლად წარუდგენს საუმ-ის გენ-დირექტორს;

დ) საკუთარი სახელმძღვანელო სფეროს ფარგლებში ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს გენ-დირექტორს.

ე) ამოღებულია (25.10.2013)

ვ) გენ-დირექტორთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტების კოორდინატორებს და მისდამი დაქვემდებარებულ პირებს;

ზ) გენ-დირექტორთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს მისდამი დაქვემდებარებულ პირებს თანამშრომლებს;

11.3 დირექტორის საქმიანობის წესი განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით;

11.4. დირექტორი ინიშნება, გენ დირექტორის ბრძანებით რომელსაც ხელს აწერს გენ-დირექტორი;

მუხლი 12

გენ -ინსპექცია

12.1. გენ-დირექტორის, დირექტორთა საბჭოს, დირექტორების და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) თანამდებობის პირების მიერ საუბ-ის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს საუბ-ის გენ-ინსპექცია, რომელსაც სამი წლის ვადით ხუთი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება. გენ-ინსპექცია არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში საკუთარ წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს. გენ-ინსპექციის მუშაობს მის მიერ შემუშავებული რეგლამენტით.

12.2. გენ-ინსპექციაში შემავალი პირი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საუბ-ის დირექტორთა საბჭოს წევრი ან მუდმივი ანაზღაურების მქონე თანამშრომელი.

12.3. გენ-ინსპექციაში 6 თვეში ერთხელ მაინც აწყობს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას. რევიზიის შედეგები მოხსენდება დირექტორთა საბჭოს და მორიგ საერთო კრებას. გენ-ინსპექცია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

12.4. სერიოზული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ენ-ინსპექცია იწვევს დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომას ან რიგგარეშე საერთო კრებას და გაუძღვება მას.

12.5. გენ-ინსპექციის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გენ-ინსპექციის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან სარევიზიო კომისიის წევრი შეირჩევა კომისიის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გენ-ინსპექციის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გენ-ინსპექციის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

12.6. დირექტორთა საბჭომ და გენ-დირექტორმა უნდა უზრუნველყოს გენ-ინსპექციის ფორმირება საუბ-ის რეგისტრაციიდან სამი წლის ფარგლებში;

მუხლი 13

საუბ-ის ქონება

13.1. საუმ-ის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

13.2. საუმ-ის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 14

საუმ-ის საქმიანობის შეწყვეტა

14.1 საუმ-ის საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) საუმ-ის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

14.2. საუმ-ის ლიკვიდაციას ახორციელებს ერთ-ერთი დირექტორი, გენ- დირექტორის გადაწყვეტილებით;

14.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს საუმ-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 15

გარდამავალი დებულება

15.1 საუმ-ის დირექტორების დანიშვნა მოხდება ორგანიზაციის რეგისტრაციის შემდეგ არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

15.2 დირექტორების რაოდენობას განსაზღვრავს დირექტორთა საბჭო, ხმათა უმრავლესობით.

საუმ-ის დამფუძნებელი წევრების ხელმოწერა:

ვახტანგ ბაღათურია

ირაკლი ბაღათურია